

# უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№12 (103) 2019


## უნივერსიტეტის ერთი წელი

***სულ მალე 2020 წელი დადგება და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახალი წლის ისტორიის ათვლას დაიწყებს. მანამდე კი მკითხველისთვის გასულ 2019 წელს თსუ რექტორი გიორგი შარვაშიძე შეაჯამებს:***

„2019 წელი მართლაც გამორჩეული იყო უნივერსიტეტისა და უნივერსიტეტელებისთვის. წელს 40 000 - დან ყოველმა მეოთხე აბიტურიენტმა პირველი არჩევანი თსუ-ზე გააკეთა. თსუ-ს რიგებს 5000 სტუდენტი შეემატა, რომელთა ნახევარზე მეტი გრანტის მფლობელია. პირველკურსელების დასახვედრადაც წელს გამორჩეულად მოვემზადეთ – კერძო სექტორთან თანამშრომლობით, თბილისში ჩამოვიყვანეთ დეტროიტელი არტისტი, Kenny Larkin და საღამოს 8 000-ზე მეტი სტუდენტი დაესწრო. არანაკლებ საინტერესო ღონისძიებას ვგეგმავთ საახალწლოდ. თსუ-ს მოწვევით თბილისში დიჯეი და პროდიუსერი Terence Parker და Aleksandir Lawrence ჩამოდიან.

საამაყოა, რომ ჩვენს რეგიონში პირველად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორი საბაკალავრო პროგრამა ABET-ის აკრედიტაციას მიიღებს. ეს თსუ-ს კიდევ ერთი დიდი აღიარებაა საერთაშორისო მასშტაბით და იმ ადამიანების დიდი შრომის შედეგი, რომლებიც აღნიშნული პროგრამების განხორციელებაში არიან ჩართულნი. შედეგად, საქართველო იქნება მსოფლიოში 33-ე ქვეყანა, სადაც სტუდენტები მომავალი სასწავ-



***გაგრძელება მე-2 გვ.***

## თსუ საინჟინრო და საბუნებისმეტყველო საბაკალავრო პროგრამებმა საერთაშორისო აკრედიტაცია მოიპოვა

***პირველად ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა საინჟინრო და საბუნებისმეტყველო საბაკალავრო პროგრამებზე საერთაშორისო აკრედიტაცია მოიპოვა.***

2020-21 სასწავლო წლიდან, აბიტურიენტები, რომლებიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის, კომპიუტერული მეცნიერებებისა და ქიმიის საბაკალავრო პროგრამებზე ჩააბარებენ, სწავლის დასრულების შემდეგ საერთაშორისოდ აღიარებულ დიპლომებს მიიღებენ.

***

ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიისა და კომპიუტერული მეცნიერებების პროგრამებმა ABET-ის საერთაშორისო აკრედიტაცია მიიღო. ABET – ამერიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიების საკრედიტაციო საბჭოა, რომელიც აკრედიტაციას ანიჭებს საგანმანათლებლო პრო-



გრამებს გამოყენებით, კომპიუტერულ, საინჟინრო, და საინჟინრო-ტექნოლოგიურ მეცნიერებებში. საბჭოს მიერ აკრედიტაცია მინიჭებული აქვს 3000-ზე მეტ პროგრამას მსოფლიოს 600-ზე მეტ უნივერსიტეტში.

გასული წლების მსგავსად, აბიტურიენტები თსუ საერთაშორისო აკრედიტებულ და სერტიფიცირებულ პროგრამებზე ჩაბარებას ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით გავლის შემდეგ შეძლებენ.

გამოცდებზე მათ ქართულ და უცხო ენასთან ერთად, მესამე სავალდებულო საგანი, მათემატიკა უნდა ჩააბარონ.

ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამა თსუ-ში 2007 წლიდან ხორციელდება. თუ გასულ წლებში პროგრამაზე 30 აბიტურიენტი ხვდებოდა, 2020-21 სასწავლო წელს, მათი რიცხვი 50-მდე გაიზრდება. სააუდიტორიო მეცადინეობები როგორც თსუ მე-11 კორპუსში, ისე მე-2 კორპუსში ჩატარდება. ლექციებს, ქართველი და უცხოელი პროფესორები ჩაატარებენ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ პირველკურსელები უახლესი ინფრასტრუქტურით აღჭურვილი ლაბორატორიებით ისარგებლებენ; სტუდენტების სასწავლო კურიკულუმები შემუშავებულია ABET-ის

***გაგრძელება მე-2 გვ.***

## ორმაგი ხარისხის სამაგისტრო პროგრამას „ტურიზმი“ აკრედიტაცია მიენიჭა

FRENCH GEORGIAN UNIVERSITY

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები ორმაგი ხარისხის დიპლომს აიღებენ. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტისა და საფრანგეთის ლუმიერ ლიონ 2 უნივერსიტეტის ტურიზმის დეპარტამენტის ერთობლივ ორმაგი ხარისხის სამაგისტრო პროგრამას „ტურიზმი“ სრული უპირობო აკრედიტაცია მიანიჭა.

სამაგისტრო პროგრამა „ტურიზმი“ პირველი აკრედიტებული პროგრამაა საქართველოსა და საფრანგეთის მთავრობათაშორისი ხელშეკრულებით დაარსებულ ქართულ-ფრანგული უნივერსიტეტის ფარგლებში.

მომავალი სასწავლო წლიდან პროგრამაზე სწავლა სრულიად უფასოდ 20 მაგისტრანტს შეეძლება.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება ორმაგი ხარისხი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხრიდან-ტურიზმის მაგისტრი, ხოლო ლუმიერის ლიონ 2 უნივერსიტეტის მხრიდან – ტურიზმის და კულტურული მემკვიდრეობის მაგისტრი.

პროგრამა ითვალისწინებს ორწლიან სწავლებას, რაც გულისხმობს 120 კრედიტის დაგროვებას 4 სემესტრის განმავლობაში. სწავლება იქნება ქართულ ენაზე,ფრანგული ენის კომპონენტებით.

პირველი სამი სემესტრი ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრის მიერ განხორციელდება თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე, ხოლო მეოთხე სემესტრში, სტუდენტები სწავლას ტურიზმისა და კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტში, ლუმიერ ლიონ 2 უნივერსიტეტში გააგრძელებენ, სადაც დაიცავენ სამაგისტრო ნაშრომს.

***გაგრძელება მე-3 გვ.***

## თსუ პროფესორი პრემია „საბა“-ს გამარჯვებულია



ლიტერატურული პრემია „საბა“ 2019 წლის გამარჯვებულების ვინაობა უკვე ცნობილია. მათ შორის, წლის საუკეთესო ქართული თარგმანის კატეგორიაში გამარჯვებულია თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის პროფესორი, კლასიკური ფილოლოგიის კათედრის ხელმძღვანელი, ნანა ტონია.

თსუ პროფესორმა გამარჯვება ევრიპიდეს „ჰეკაბეს“ ქართულ ენაზე თარგმნისთვის მოიპოვა. ნანა ტონია „საბას“ ფინალისტების „მოკლე სიაში“ გასულ წლებშიც ყოფილა. „მათ შორის განსაკუთრებული იყო გასული წლის „საბას“ ზეიმი ფრანკფურტში, სადაც მოვხვდი ევრიპიდეს ტრაგედიათა („მედეა“, „ჰიპოლიტოსი“) ქართულ ენაზე თარგმნისთვის“, – იხსენებს ნანა ტონია. წლევანდელი „საბას“ დაჯილდოების წინა დღეს კოლეგებთან და სტუდენტებთან ერთად ბათუმში იმყოფებოდა საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე, სადაც ფესტივალი „ბერლინერ ანსამბლის“ (გერმანია) მიერ წარმოდგენილი სპექტაკლით „მედეა“ გაიხსნა. სპექტაკლს ტიტრებში კი ნანა ტონიას მიერ შესრულებული ევრიპიდესეული ტექსტის თარგმანი იწერებოდა.

„ბათუმიდან პირდაპირ „საბას“ ზეიმზე აღმოვჩნდი, დიახ, ზეიმზე, რადგანაც დარბაზი სავსე იყო ლიტერატურული საზოგადოებით და ყველას ჰქონდა სადღესასწაულო განწყობა. მახსენდებოდა ევრიპიდეს ერთი ფრაზა: „...და მაინც რაღაც იმედი კრთის!“ რა თქმა უნდა, იმედი კრთოდა, რა თქმა უნდა, არ ვღელავდი, მაგრამ როდესაც ჟიურის წევრმა, თავად არაჩვეულებრივმა მთარგმნელმა ხათუნა ცხადაძემ დაიწყო ჩემი წარდგენა, ავღელდი, განსაკუთრებით სცენაზე, აქ კიდევ ერთი სიხარუ-

***გაგრძელება მე-4 გვ.***

## პროფესიული პროგრამები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

2015 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პროფესიულ პროგრამებს ახორციელებს, რომლებიც უკვე დიდი მოთხოვნით სარგებლობს - წელს, 8 პროგრამის 194 ვაკანტურ ადგილზე 1221 კანდიდატი დარეგისტრირდა. ჩარიცხულ აპლიკანტთა შორის 4 სპეციალური საჭიროების მქონე პირია.

გვ. 3

## თსუ სტუდენტები – 2019 წლის საგრანტო კონკურსების ტრადიციული ლიდერები

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2019 წელს გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებში ტრადიციულად ლიდერობენ.

გვ. 2

## „უპასუხე საქართველოს“ გამარჯვებულები თსუ-დან

თსუ სტუდენტები ლუკა ლომსაძე და ზურაბ ვაშალომიძე შემეცნებითი შოუს „უპასუხე საქართველოს“ გამარჯვებულები გახდნენ.



გვ. 2

## „თსუ სტუდენტური კაპელას“ ქორმაისტერის მუსიკალური გზა



„მუსიკალური ნიჭი რომ მქონდა ჯერ კიდევ ძალიან ღრმა ბავშვობაში დედაჩემმა აღმოაჩინა. თვეების რომ ვიყავი და ვტიროდი, წამიმღერებდა რაღაც მელოდიას და მაშინვე ვჩუმდებოდი, თითქოს რაღაც დამამშვიდებელს მიკეთებდნენ,“ - დაბადებიდან მუსიკაზე შეყვარებული ლაშა მიროტაძე დღეს საკმაოდ წარმატებული, არაერთი გამარჯვებისა და პრიზის მფლობელი „თსუ სტუდენტური კაპელას“ ქორმაისტერია. მიუხედავად იმისა, რომ კაპელას ხელმძღვანელობა მისი ერთადერთი საქმიანობა არ არის, ყველაზე მეტად სწორედ ამ საქმით ამაყობს. ამ სიამაყის მიზეზი ალბათ ისიც არის, რომ „თსუ სტუდენტური კაპელა“ 4 წლის წინ სწორედ მისი ინიაციტივით შეიქმნა, ამ 4 წლის მანძილზე კი გაიზარდა, განვითარდა და საგუნდო მუსიკის ცხოვრებაში ღირსეულ ადგილს ნელ-ნელა იმკვიდრებს.

„თსუ სტუდენტური კაპელას“ ქორმაისტერმა მუსიკალური ცხოვრება საკმაოდ პატარა ასაკში დაიწყო. ჯერ კიდევ პირველ კლასში დედამ ზაქარია ფალიაშვილის მეორე მუსიკალურ სასწავლებელში ფორტეპიანოს გაკვეთილებზე მიიყვანა. ეს ლაშას განსაკუთრებული სურვილი არ ყოფილა, თუმცა დამჯერი ბავშვი იყო და ხმამაღლა არ გაუპროტესტებია.

„მუსიკაზე სიარული არ მეზარებოდა, უბრალოდ, როდესაც 5 წლის ხარ, შაბათი დღეა, ყველა

გვ. 4

# თსუ სტუდენტები – 2019 წლის საგრანტო კონკურსების ტრადიციული ლიდერები



***თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2019 წელს გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებში ტრადიციულად ლიდერობენ.***

2019 წლის „საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის“ გამარჯვებული 24 პროექტიდან 7 პროექტი (გამარჯვებული პროექტების 29%) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებს ეკუთვნით. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ თსუ-დან კონკურსში მონაწილე 7 პროექტიდან 7-ვე წარმატებული აღმოჩნდა. საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების მიზანია, ხელი შეუწყოს გამოცემისათვის გამორჩეული ხარისხის სამეცნიერო ნაშრომების (წიგნი/მონოგრაფია/საგნობრივი ენციკლოპედია) შერჩევას და მათ გამოქვეყნებას.

თსუ ასევე ლიდერია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2019 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსშიც. გამარჯვებული 33 პროექტიდან 12 პროექტი (გამარჯვებული პროექტების 36%) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერებს ეკუთვნით. ახალგაზრდა მეცნიერად, კონკურსის პირობების თანახმად, ითვლება დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელსაც დოქტორის ხარისხი მიენიჭა კონკურსის გამოცხადების თარიღამდე ბოლო 7 წლის განმავლობაში.

ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტების კონკურსში საგრანტო პროექტები შესაძლებელია წარდგენილ იქნეს არსებულ ყველა სამეცნიერო მიმართულებებში კონკურსის მიზანია ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მხარდაჭერის გზით ხელი შეუწყოს მათი სამეცნიერო კვლევების ხარისხის გაუმჯობესებას, თემატური ან ინტერდისციპლინური მიმართულებით სამეცნიერო თანამშრომლობის გაღრმავებასა და აკადემიურ საქმიანობაში ჩართულობას.

კიდევ ერთ საგრანტო კონკურსში, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტით დაფინანსების 2019 წლის კონკურსის გამარჯვებული 56 პროექტიდან 29 პროექტი (გამარჯვებული პროექტების 52%) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტებს ეკუთვნით.

თსუ სტუდენტები ასევე ლიდერობენ „2019 წლის მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების" გამოცხადებულ საგრანტო კონკურსშიც. სტატისტიკა ასე გამოიყურება: კომბინირებული ღონისძიებები – გამარჯვებულ 3 პროექტს შორის 2, ხოლო სამეცნიერო კონფერენციების კონკურსში – გამარჯვებული 8 პროექტიდან 5 თსუ სტუდენტებს ეკუთვნით.

# „უპასუხე საქართველოს“ გამარჯვებულები თსუ-დან




თსუ სტუდენტები ლუკა ლომსაძე და ზურაბ ვაშალომიძე შემეცნებითი შოუს „უპასუხე საქართველოს“ გამარჯვებულები გახდნენ.

ლუკა თსუ იურიდიული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტია, ზურა კი თსუ სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებაზე სწავლობს.

ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული მიმართულების სტუდენტების ინტერესები პირველი არხის ლიტერატურულ შოუში „წიგნების თარო“ გადაიკვეთა. ლუკამ და ზურამ ერთმანეთი სწორედ ამ შოუში გაიცნეს, აღმოჩნდა, რომ ინტელექტუალური თამაშები ორივეს ძალიან აინტერესებდა, ასე დამეგობრდნენ.

როგორც თვითონ ამბობენ, ერთმანეთის ცოდნას ავსებენ. „უპასუხე საქართველოს“ შოუში ერთად მონაწილეობაც სწორედ ამიტომ გადაწყვიტეს. შოუში გასვლამდე გარკვეული მოლოდინები, რა თქმა უნდა, ჰქონდათ, თუმცა გამარჯვებას არ ელოდნენ.

„რაც მე არ ვიცი ზურამ იცის და პირიქით – რაც ზურამ არ იცის, მე ვიცი. სწორედ ამიტომ სხვადასხვა ინტელექტუალურ თამაშებში, მათ შორის თსუ ვიქტორინებში ხშირად ვიღებთ მონაწილეობას, მაგრამ ამ მასშტაბის გამარჯვება ჩვენთვის პირველი და მოულოდნელია. არ გვიფიქრია, რომ 24 000 ლარის მფლობელები გავხდებოდით,“ - ამბობს ლუკა.



შოუში გამარჯვებამდე ზურას და ლუკას გარკვეული სირთულეები, რა თქმა უნდა შეხვდათ – ყველაზე მეტად შოუს პირველი ნაწილი გაუჭირდათ, მისი გადალახვის შემდეგ კი ბიჭებმა მშვიდად და თავისუფლად გააგრძელეს თამაში და გამარჯვებაც მოიპოვეს.

„შოუში გამარჯვებისთვის ცოდნა, რა თქმა უნდა, აუცილებელია, თუმცა ასევე საჭიროა გქონდეს ლოგიკური აზროვნება და რკინის ნერვები. თამაშის დროს სიმშვიდე არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაკარგო. მე შეჩვეული ვარ კამერების წინ თამაშს, ამიტომ არ მინერვიულია“, – აღნიშნავს ლუკა.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული ტელესივრცის შემეცნებით შოუში გამარჯვების მოპოვება მარტივი ნამდვილად არ არის, ლუკა და ზურა თვლიან, რომ განსაკუთრებული უნარებით არ გამოირჩევიან და მათი წარმატება პირველ რიგში იღბალმა განაპირობა.

„თავს ჭკვიანებად ნამდვილად არ ვთვლით. სხვა კითხვები რომ მოსულიყო, შეიძლება გამარჯვება ვერ მოგვეპოვებინა. კითხვა გვიყვარს, მაგრამ დღევანდელ რეალობაში მხოლოდ წიგნებით შორს ვერ წახვალ, ინტერნეტი და წიგნი ერთმანეთს აუცილებლად უნდა ავსებდეს,“ - ამბობს ზურა.

ლუკა ლომსაძემ და ზურაბ ვაშალომიძემ შემეცნებით შოუში „უპასუხე საქართველოს“ ყველა კითხვას სწორად უპასუხეს, თუმცა ამ დრომდე პასუხგაუცემელი აქვთ ერთი კითხვა.

„რაში დავხარჯავთ მოგებულ ფულს...“

# უნივერსიტეტის ერთი წელი

*1-ლი გვერდიდან*

ლო წლიდან შეძლებენ ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიისა და კომპიუტერული მეცნიერებების ABET აკრედიტებულ პროგრამებზე სწავლას. 2019 წელი კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი ამბით დაგვირგვინდა: საქართველო გახდა 24-ე ქვეყანა, სადაც ამერიკის ქიმიური საზოგადოების (ACS) საერთაშორისო წარმომადგენლობა იხსნება, რომელიც თსუ-ში განთავსდება. შედეგად, 2020-2021 სასწავლო წელს თსუ მიღებას ACS-ის მიერ სერტიფიცირებულ ქიმიის პროგრამაზეც გამოაცხადებს. აღსანიშნავია, რომ ამავე წელს ქართულ-ფრანგული უნივერსიტეტის მხარდაჭერით აკრედიტაცია გაიარა თსუ-სა და ლიონ2-ის ერთობლივმა სამაგისტრო პროგრამამ ტურიზმის მიმართულებით.

წელს გამორჩეულად კარგი შედეგები აჩვენეს თსუ-ელებმა ყველა მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ სტუდენტების საერთო რაოდენობიდან თსუ-ში 14% სწავლობს, ამ პროპორციის ფონზე კი რუსთაველის ფონდის სამეცნიერო გრანტების ჯამური ოდენობის 50%-ის მიმღები სწორედ ჩვენი უნივერსიტეტია. საამაყოა, რომ წელს საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატები პროფესორები რამაზ გახოკიძე და ზაალ კოკაია გახდნენ. ვულოცავ ჩვენს ძვირფას თსუ-ელებს ამ დიდ აღიარებას. აღსანიშნავია, რომ ელსევიერის Scopus-ის ბაზის მონაცემებით თსუ-ის თანამშრომლების ავტორობით გამოქვეყნდა 503 პუბლიკაცია. ყველაზე მაღალრეიტინგულ „Nature“ ჯგუფის ორ ჟურნალში 2019 წელს თსუ პროფესორის, დავით ლორთქიფანიძის ავტორობით ორი სტატია დაიბეჭდა, რომელიც პალეოანთროპოლოგიის სფეროში ახალ აღმოჩენებს ეძღვნებოდა. წლევანდელი წელი თსუ არქეოლოგების აღმოჩენებითაც გამორჩეული იყო: ექსპედიციამ, პროფესორ ვახტანგ ლიჩელის ხელმძღვანელობით, კუნძულ კვიპროსზე ნაეკლესიარი აღმოაჩინა. სვანეთში კი ექსპედიციამ პროფესორ ზვიად კვიციანთან ერთად ნამოსახლარს მიაკვლია. მართლაც, საამაყოა, რომ გვყავს მეცნიერები, რომლებიც საქართველოსა და თსუ-ს მსოფლიოს აცნობენ. აღსანიშნავია, რომ 2019 წელს თსუ-ში გაიხსნა ევროპული აკადემიის რეგიონული ცენტრი. ეს პირველი ცენტრია ევროკავშირის არაწევრ ქვეყანაში, რომელიც ქართველ მეცნიერებსა და სტუდენტებს ახალ სამეცნიერო შესაძლებლობებს უხსნის. ხაზგასასმელია, რომ თსუ-ში დღეისათვის 250-ზე მეტი (ეროვნული და საერთაშორისო) ფუნდამენტური და გამოყენებითი მიმართულების კვლევითი პროექტი ხორციელდება.

აღსანიშნავია, რომ თსუ კვლავ ინარჩუნებს პირველობას და მეოთხე წელია ერთადერთი ქართული უნივერსიტეტია თაიმსის მსოფლიო უნივერსიტეტების რანჟირებაში (Times Higher Education World University Rankings). 2020 წლის გამოცემაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მსოფლიოს საუკეთესო



1396 უნივერსიტეტს შორისაა. უნივერსიტეტის ყველაზე ძლიერი მხარე მისი ინტერნაციონალიზაციაა. მართლაც, თსუ ყოველწლიურად აფართოებს საერთაშორისო კავშირებს. 2019 წლის ბოლოს პარტნიორი უნივერსიტეტების რიცხვმა 250-ს გადააჭარბა, ერასმუს+ საერთაშორისო მობილობის კუთხით კი თსუ რეგიონში ლიდერი უნივერსიტეტია. მიმდინარე წელს თსუ-ს მონაწილეობით ევროკავშირმა მობილობის 65 ახალი პროექტი დააფინანსა და ერაზმუს პლუსის პროექტების რაოდენობა 248 გახდა; 2019-2020 წლის მხოლოდ შემოდგომის სემესტრში თსუ-ს 142-მა სტუდენტმა მიიღო გრანტი საზღვარგარეთ სასწავლებლად; სანაცვლოდ, შემოდგომის სემესტრში ჩვენ ვმასპინძლობთ 44 სტუდენტს და 36 უცხოელ პროფესორს 12 ქვეყნიდან.

წელს განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების თვალსაზრისით გადადგმული ნაბიჯები. დასრულდა II კორპუსის რეაბილიტაციის პირველი ეტაპი; სამუშაოების დასრულების შემდეგ, შენობა ყველა საერთაშორისო სტანდარტს დააკმაყოფილებს; საჭიროებების შესაბამისად გარემონტდა არაერთი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სივრცე; რეაბილიტაცია ჩაუტარდა ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის შენობას; პროფესიული სწავლების ცენტრის ქუთაისის ფილიალს; გარემონტდა მაღლივი კორპუსის ფოიე. ბიბლიოთეკის შენობაში გარემონტდა საგამოცდო ცენტრის ფართები, სამკითხველო დარბაზები. თსუ-ს პირველი კორპუსის ეზოში გაიხსნა „ჩაის სახლი“. სულ რამდენიმე დღის წინ გავხსენით მაღლივ კორპუსში კაფეტერია და ძალიან მალე ბიოლოგების კორპუსშიც გაიხსნება კვების ობიექტი. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, მომავალ წელსაც არ დავიშურებთ სახსრებსა და ძალისხმევას.

2020 წელს თსუ-ის მაღლივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, ახალი ევროპული სტანდარტების შესაბამისი სტუდენტური ქალაქის მშენებლობა დაიწყება. ახლო მომავალში სტუდენტურ კამპუსში 3000-ზე მეტი ახალგაზრდის ცხოვრებისა და დასვენებისთვის ყველა აუცილებელი პირობა შეიქმნება.

მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტში უკვე აისახა ხელფასების მოწესრიგებისთვის გადადგმული პირველი ნაბიჯი, რაც გულისხმობს თანამშრომელთათვის შრომის ანაზღაურების ზრდას. უნივერსიტეტის შიდა რესურსის ფარგლებში აკადემიურ პერსონალს მარტიდან, ხოლო ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალს სექტემბრიდან მოემატება ხელფასი. სახელმწიფოს მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების ახალი მოდელის ამოქმედების პირობებში ანაზღაურება კვლავ გაიზრდება.

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება და კომერციალიზაცია ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. 2019 წელს ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრის ორგანიზებით და მოზიდული თანხებით 700-მდე სტუდენტმა გაიარა 3-დღიანი ტრენინგი მეწარმეობაში. პროექტი გაგრძელდება და მომავალ წელს კიდევ ორჯერ მეტ სტუდენტს ექნება მასში მონაწილეობის შესაძლებლობა. ამასთან, წელს ჩვენ #Datafest-ის ფარგლებში სტუმრების გაორმაგებული რაოდენობა მივიღეთ და დარწმუნებული ვარ მომავალი წლისთვის ეს რიცხვი კიდევ გაიზრდება. სასიხარულოა, რომ თსუ-ში წელს მეოთხედ გაიმართა TED-ის ფორუმი. TEDxTbilisi-ის ფარგლებში თსუ-მ 9 სპიკერს და 1000-მდე ვიზიტორს უმასპინძლა.

სასწავლო, სამეცნიერო თუ ინფრასტრუქტურული სიახლეების გარდა წელსაც თსუ მრავალფეროვანი კულტურული და სპორტული ცხოვრებით გამოირჩეოდა. უნივერსიტეტის კალათბურთისა და ფუტსალის გუნდებმა კვლავ დიდი წარმატებით იასპარეზეს. თსუ კალათბურთის გუნდმა სუპერლიგის პირველი წრის 10 მატჩიდან 8 მოგებით დაასრულა და ამ დროისთვის პირველ ადგილს იკავებს. თსუ კაპელა კი საერთაშორისო კონკურსების გამარჯვებული გახდა. მთლიანობაში 2019 წელს 350-ზე მეტი კულტურული და სპორტული ღონისძიება ჩატარდა.

საამაყოა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლიტერატურული კლუბი „93-ე აუდიტორია“ აღდგა. კლუბის წევრები ალმანახის „პირველი სხივი“ გამოცემასაც გეგმავენ.

ეს მხოლოდ ნაწილია იმ სიახლეებისა, რომლითაც 2019 წელი გამოირჩეოდა. ახალ წელს ახალი იმედებით, გეგმებითა და პროექტებით ვეგებებით“. - განაცხადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ჩვენთან საუბარში.

# თსუ საინჟინრო და საბუნებისმეტყველო საბაკალავრო პროგრამებმა საერთაშორისო აკრედიტაცია მოიპოვა

*1-ლი გვერდიდან*

მოთხოვნების შესაბამისად, რაც ასევე ზრდის გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა მონაწილეობის შანსებსა და კრედიტების აღიარების შესაძლებლობას.

მისაღები კონტიგენტი იზრდება კომპიუტერული მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამაზეც, რომელიც თსუ-ში 2005 წლიდან ხორციელდება. მომავალი წლიდან საერთაშორისოდ აკრედიტებულ კომპიუტერული მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამაზე 150-დან 180-მდე აბიტურიენტი, ხოლო ქიმიის საბაკალავრო პროგრამაზე 30 აბიტურიენტი შეძლებს სწავლის გაგრძელებას.

***

რთული და ხანგრძლივი პროცესი, რომელიც თსუ-მ 2016 წელს დაიწყო, სან დიეგოს უნივერსიტეტისა და ათასწლეულის გამოწვევების ფონდის მხარდაჭერით მიმდინარეობდა. აშშ-სა და საქართველოს მთავრობებს შორის გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულება – ათასწლეულის გამოწვევის კომპაქტი $34 მლნ ბიუჯეტის უმაღლესი განათლების პროექტს მოიცავს. პროექტის მიზანია საქართველოში საერთაშორისო სტანდარტის საბაკალავრო პროგრამების დანერგვა საინჟინრო და საბუნებისმეტყველო დარგებში. შედეგად, 2014 წლიდან სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოში აშშ-ში აკრედიტებულ პროგრამებს ახორციელებს და თავის დიპლომს გასცემს. პარალელურად, SDSU თსუ-სთან ერთად საქართველოს კიდევ ორ პარტნიორ უნივერსიტეტს (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი) ეხმარება საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვებაში, რათა ამ უნივერსიტეტებმა შეძლონ იგივე პროგრამების უკვე თავად განხორციელება. პროექტის ორივე კომპონენტი დაფინანსებულია ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს მიერ, ათასწლეულის გამოწვევის კომპაქტის (გრანტის) ფარგლებში.

# ორმაგი ხარისხის სამაგისტრო პროგრამას „ტურიზმი“ აკრედიტაცია მიანიჭა

*1-ლი გვერდიდან*

პროგრამა ითვალისწინებს ფრანგული ენის გაძლიერებულ სწავლებასაც, რათა სტუდენტები მოემზადონ საფრანგეთის უნივერსიტეტში ერთი სემესტრით სწავლებისა და 4-5 თვიანი სტაჟირებისთვის მოქმედ ტურისტულ კომპანიაში. ამასთან, პროგრამის კურსდამთავრებულებს ეძლევათ შესაძლებლობა, მიიღონ საფრანგეთის მთავრობის მიერ გამოცხადებული მუშაობის ნებართვა საფრანგეთში.

მიღების წინაპირობებია: ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, საერთო სამაგისტრო გამოცდა, მისაღები გამოცდა საგანში „ტურიზმი“ და ფრანგული ენა B1.

საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს სტუდენტთა დაფინანსებას, ფრანგული მხარე კი უზრუნველყოფს სტუდენტთა სტაჟირებას საფრანგეთში და ფრანგი პროფესორების ვიზიტს საქართველოში.

***

სამაგისტრო პროგრამა „ტურიზმი“ მიზნად ისახავს კულტურულ მემკვიდრეობაზე სპეციალიზირებული ტურიზმის ბიზნესის ღრმა და სისტემური ცოდნის მქონე, შრომის ბაზარზე მოთხოვნადი უნარ-ჩვევებით აღჭურვილი, მულტიკულტურულ გარემოში მაღალი პასუხისმგებლობისა და დამოუკიდებლად მუშაობის უნარის მატარებელი კონკურენტუნარი-



ანი კადრების მომზადებას.

# DataFest თბილისი 2019

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა წელს უკვე მეოთხედ უმასპინძლა აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალურ აზიაში ყველაზე დიდ მონაცემთა ფესტივალს DataFest თბილისი. DataFest-ს ტექნიკური თუ არატექნიკური კომპეტენციის მქონე 1000-მდე მონაწილე დაესწრო მსოფლიოს 24 ქვეყნიდან.

DataFest თბილისი 2019-ის ორგანიზატორები არიან ForSet, Tbilisi Startup Bureau da MaxinAI. Google, Facebook, Amazon, Washington Post, ეს მცირე ჩამონათვალია იმ კომპანიებისა, რომელთა სპიკერებმაც საკუთარი ორგანიზაცია და გამოცდილება ქართველ და უცხოელ აუდიტორიას გააცნეს.




ფესტივალზე 80-მდე ცნობილმა სპიკერმა და ტრენერმა ისაუბრა ისეთ თემებზე, როგორიცაა: ამბის თხრობა მონაცემებით; მონაცემთა ვიზუალიზაცია, მონაცემთა მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტი; მონაცემები და ფინანსური ტექნოლოგიები (FinTech); მონაცემები ბიზნესისა და მარკეტინგისთვის; მონაცემები და კიბერუსაფრთხოება; ღია მონაცემები და მონაცემებზე ორიენტირებული პოლიტიკის შემუშავება; მონაცემები ადამიანის უფლებებისთვის; მონაცემთა სტარტაპები; მონაცემები მდგრადი განვითარების მიზნებისთვის; მონაცემები მედიცინასა და ჯანდაცვაში; მონაცემები გონიერი ქალაქებისთვის (Smart cities).

***

ღონისძიების ერთ-ერთი სპიკერის და საერთაშორისო ორგანიზაციის Digital communication Network-ის პრეზიდენტის, არტურ გურაუს თქმით, ღონისძიება აერთიანებს: ჟურნალისტებს, სოციოლოგებს, ბიზნესისა და მარკეტინგის წარმომადგენლებს, რომლებიც მუშაობენ მონაცემებზე: „საზოგადოების განვითარებისთვის DataFest-ის მსგავსი ღონისძიებები ძალიან მნიშვნელოვანია. ფესტივალი მონაწილეებისთვის არის ინსპირაციის წყარო და ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების საშუალება. DataFest ასევე მნიშვნელოვანია სტუდენტებისთვის, მათ აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ სხვადასხვა საერთაშორისო კომპანიებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებს“.

***მარეკ მილერი***, GOOGLE:

„ძალიან სასიამოვნოა თბილისში ყოფნა. ჩვენს "ვორკშოფს" ალბათ მონაწილეები უკეთ შეაფასებენ, თუმცა მგონია, რომ ძალიან საინტერესო და ჩემთვისაც ინსპირაციული იყო. ვისაუბრეთ მონაცემთა ჟურნალისტიკაზე, განვიხილეთ რამდენიმე მაგალითი, სადაც ჟურნალისტურ პროცესში მონაცემების გამოყენების უამრავ შემთხვევას ვხვდებით. მონაცემები მთავარი წყაროა ჟურნალისტებისთვის და მათი ვიზუალიზაციისთვის საუკეთესო დახმარებას Google GIF Maker, Google My-Maps და Flourish გვიწევენ“.

***ჰარი სტივენსი***, Washington Post:

ყოველთვის ველოდები მონაცემთა ფესტივალს, აქ უამრავ საინტერესო ადამიანს ვხვდები, ვისმენ შეკითხვებს და მაქვს აქტიური კომუნიკაცია აუდიტორიასთან. მითუმეტეს, როცა ისეთ თემაზე საუბრობ,როგორიც მონაცემთა ვიზუალიზაციაა. მონაცემთა ვიზუალიზაცია მხოლოდ ინფორმაციის გადმოტანა არ არის, მას აუცილებლად უნდა შეეძლოს მკითხველთან „კომუნიკაცია". რა არის ამისთვის საჭირო? კონკრეტული ფერები და კონფიგურაცია? დღეს ჩვენ უამრავი ასეთი საინტერესო ტექნიკა და დიზაინი განვიხილეთ.

***დენიელ დიაზ დუსანი***, Booking.com

„ძალიან აქტიური დღე გვქონდა. მივიღე უკუკავშირი, როგორც ჩემი კოლეგებისგან, ისე აუდიტორიისგან. Booking-ის გუნდი ძალიან ბევრს მუშაობს მონაცემებზე და მათი გამოყენებით დაჯავშნის პროცესის გამარტივებაზე. ამიტომ, დღეს აუდიტორიას ერთგვარად ანგარიში წარვუდგინეთ, იმისა, თუ როგორ ვეხმარებით მომხმარებლებს საუკეთესო გადაწყვეტილების მიღებაში“.

***ქრისტიან დრეშერი***, Mercedes-Benz

„მიხარია რომ ასეთი მასშტაბური ღონისძიების მონაწილე ვარ და შემიძლია ასეთ დიდ აუდიტორიას ჩემი გამოცდილება გავუზიარო. მოვისმინე რამდენიმე მოხსენება, მყავს ჩემი ფავორიტი მომხსენებლებიც. მიხარია,რომ ბევრ ნაცნობს შევხვდი აქ. ჩემი მოხსენება ეხება თანამედროვე მსოფლიოში გადაწვეტილების მიღებასთან დაკავშირებული სირთულეების გადალახვას პროგრამირების საშუალებით. ხელოვნური ინტელექტი თავად გვთავაზობს პრობლემის მოგვარების რამდენიმე გზას. ჩვენ შევეცადეთ სხვადასხვა მაგალითების მეშვეობით ამ ყველაფერში დავრწმუნებულიყავით“.

# პროფესიული პროგრამები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

*1-ლი გვერდიდან*





2015 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პროფესიულ პროგრამებს ახორციელებს, რომლებიც უკვე დიდი მოთხოვნით სარგებლობს – წელს, 8 პროგრამის 194 ვაკანტურ ადგილზე 1221 კანდიდატი დარეგისტრირდა. ჩარიცხულ აპლიკანტთა შორის 4 სპეციალური საჭიროების მქონე პირია.

2019 წლის შემოდგომის ნაკადზე ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა რვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე: ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი, ბიბლიოთეკარი, საბაჟო საქმე, სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა, საოფისე საქმე, ტუროპერატორი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი, შემფასებელი, მიიღო სტუდენტები. ჩარიცხულ აპლიკანტთა შორის არიან ბაკალავრიატის, მაგისტრატურის კურსდამთავრებულები, ასევე უკვე დასაქმებულები, რომლებსაც სურთ ახალი ცოდნის მიღება. სხვადასხვა პროგრამებზე სტუდენტებს ლექციებს უკითხავენ თსუ პროფესორები და პრაქტიკოსი პროფესიული მასწავლებლები.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება წელიწადში ორჯერ – გაზაფხულსა და შემოდგომაზე.

შემოდგომის ნაკადზე შემფასებლის პროფესიული პროგრამის სტუდენტი გახდა ***ლუკა კაკიაშვილი***, რომელმაც წარმატებით დაასრულა თსუ იურიდიული ფაკულტეტი და პარალელურად სამართლის სამაგისტრო პროგრამაზეც სწავლობს. „მას შემდეგ, რაც გავიგე, რომ თსუ-ს ჰქონდა პროფესიული სასწავლებელი, გადავწყვიტე დამატებით პროფესიას დავუფლებოდი. არჩევანი შევაჩერე შემფასებლის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგამაზე. პროგრამა მოიცავს სხვადასხვა უძრავ-მოძრავი ქონების შეფასებას, რომელიც შესაბამისი მეთოდებისა და სტანდარტების კვალიფიციურ ცოდნას მოითხოვს. ვფიქრობ, აქსწავლა მომცემს შესაძლებლობას შევიძინო დამატებითი უნარ-ჩვევები, რაც ძირითად პროფესიულ საქმიანობაში მნიშვნელოვნად დამეხმარება. პროგრამაზე ჩაბარებისათვის დამჭირდა საკანცელარიო უნარებისა და მათემატიკის ტესტირების გავლა. რეგისტრაციის დროს, მსგავსად ეროვნული გამოცდებისა, იყო რამდენიმე პროგრამის არჩევის შესაძლებლობაც. ამ ახალი გამოწვევით ძალიან კმაყოფილი ვარ, პირველ რიგში იმით, რომ ცენტრის ინფრასტრუქტურა მაღალი სტანდარტებითაა აღჭურვილი. ასევე, ცენტრში ასწავლიან ამ დარგში თეორიული ცოდნით და პრაქტიკული გამოცდილების მქონე ლექტორები, რომლებისთვისაც ეს პროფესია ყოველდღიურ საქმიანობას წარმოადგენს. საბოლოო ჯამში, სწავლისათვის უზრუნველყოფილია სრულად დამაკმაყოფილებელი გარემო“, – ამბობს ლუკა.

თსუ ტურიზმის სკოლის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული ***ნინო წერეთელი*** მაგისტრის ხარისხის მიღების შემდეგ, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის პროფესიას ეუფლება თსუ პროფესიული განათლების კურსებზე. „ტურიზმის სფეროში მუშაობის გამოცდილება უკვე მაქვს, მსურს განვიმტკიცო ცოდნა და ვიმუშაო არა მარტო ტუროპერატორად, არამედ საქართველოს გიდად, წარმოვადგინო ჩემი ქვეყანა. პროგრამაზე სწავლის სტილი არის ძალიან ორგანიზებულად და სასიამოვნოდ გათვალისწინებული, ძირითადი მასალის შესწავლა ხდება ლექციის დროს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას. მიუხედავად ძალიან დიდი კონკურენციისა ამ მიმართულებაზე, მოსახვედრად წარმატებით ჩავაბარე ინგლისური და საბაზისო უნარჩვევები“, – გვეუბნება ნინო.

პროფესიული განათლების მიღების მსურველებს რეგისტრაციის გავლა შეუძლიათ პირადობის მოწმობით საქართველოს მასშტაბით არსებულ საგანმანათლებლო რესურს-ცენტრებსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრში. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების წინაპირობები ინდივიდუალურია. სხვადასხვა მიმართულებებზე შესაბამისად ბარდება: საბაზისო აკადემიური უნარების, საკანცელარიო უნარების, ქართული ენის, მათემატიკისა და უცხო ენების ტესტები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული აპლიკანტები როგორც თბილისში, ისე ქუთაისში ისწავლიან.

# სიახლეები

### *თანამშრომლობის მემორანდუმები თსუ-სთან*

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა თანამშრომლობის მემორანდუმები გააფორმა უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალ "Save the Children International"-ის საქართველოში წარმომადგენლობით ოფისს, შ.პ.ს. „ეთნო-ტურსა“ და „ა(ა)იპ „მუზეუმების გაერთიანებასთან“.

უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი „Save the Children International“ თსუ-ს 5 ტრენინგ-მოდულს უსასყიდლოდ გადასცემს. ტრენინგ-მოდულები სტუდენტებს დაეხმარება გარდამავალი უნარების განვითარებაში მათი შემდგომი დასაქმების ხელშეწყობის მიზნით. თსუ-ის მიერ შერჩეული 13 ტრენერი მომზადება შემდეგ საკითხებში: კომუნიკაციის უნარები; გუნდური მუშაობის უნარები; მეწარმეობასთან დაკავშირებული უნარები; პრობლების გადაჭრა/გადაწყვეტილების მიღების უნარები; სწავლების სწავლა (Learning to Learn).

შ.პ.ს. „ეთნო-ტურთან“ (იგი ტურიზმის ბაზარზე ერთ-ერთი ცნობილ-ტუროპერატორია), გაფორმებული მემორანდუმის მიზანია უნივერსიტეტის სტუდენტების დახმარება პროფესიული უნარების განვითარებაში, მათი დასაქმების ხელშეწყობა და კომპანიისთვის მომავალი საკადრო რეზერვის შექმნა, რაც გულისხმობს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების დასაქმებას პროფესიული მიმართულებით. "ეთნო-ტურის" შეთავაზებაა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კულტურის კვლევების და ისტორიის მიმართულების სტუდენტების დასაქმება მათი კვალიფიკაციიდან გამომდინარე. "ეთნო-ტური" ტურიზმის ბაზარზე არსებული მოთხოვნებიდან გამომდინარე სტუდენტებს კარიერული განვითარების მიზნით ტრენინგებს შესთავაზებს.

„ა(ა)იპ „მუზეუმების გაერთიანებასთან“ გაფორმებული მემორანდუმის მიზანია სტაჟირების, დასაქმებისა და პროფესიული უნარების განვითარების შესაძლებლობის მოძიებაში სტუდენტთა ხელშეწყობა, პრაქტიკის განმახორციელებლისთვის საკადრო რეზერვის შექმნა და მისი სერვისების შესახებ ინფორმაციის გავრცელება, იმისათვის, რათა უნივერსიტეტის სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა: პრაქტიკაში გამოსცადონ მიღებული თეორიული ცოდნა და უნარები; პრაქტიკული უნარების განვითარების გზით უკეთ მოემზადონ მომავალი პროფესიული საქმიანობისთვის.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა ერთობლივ პროფესიულ და სასწავლო-საგანმანათლებლო პროექტებს განახორციელებენ. ამის შესახებ მემორანდუმს თსუ რექტორმა გიორგი შარვაშიძემ და ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის დირექტორმა ქეთევან ჯაყელმა მოაწერეს ხელი.

თსუ-სა და ა(ა)იპ "ნიკე - თანამედროვე ხელოვნების განვითარებისათვის“ შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს ხელი თსუ რექტორმა გიორგი შარვაშიძემ და "ნიკე – თანამედროვე ხელოვნების განვითარებისათვის“ პრეზიდენტმა ირინა კოხრეიძემ მოაწერეს.

მემორანდუმის მიზანია ფონდის პროექტის ფარგლებში „ირა კოხრეიძის ინკლუზიური თეატრის“ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლობა კულტურის, ინკლუზიური განათლებისა და ხელოვნების სფეროში, კერძოდ, ინკლუზიური სპექტაკლების გამართვის ხელშეწყობის მიმართულებით.

### *საერთაშორისო კონფერენცია – „მწვანე მობილიზაცია ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქალაქებში"*



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო კონფერენცია – „მწვანე მობილიზაცია ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქალაქებში (GreeMo)’’ ჩატარდა. კონფერენცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ლაიფციგის სახელობის რეგიონული გეოგრაფიის ინსტიტუტის ((IfL) გერმანია), ებერჰარდ კარლსის უნივერსიტეტისა (გერმანია) და ცენტრალური აზიის ამერიკული უნივერსიტეტის (ყირგიზეთი) ორგანიზებით სამი დღის განმავლობაში გაგრძელდა.

კონფერენციამ თავი მოუყარა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში მწვანე მობილიზაციის საკითხებზე მომუშავე აქტივისტებსა და მკვლევრებს. ამასთან, წარმოდგენილნი იყვნენ ადგილობრივი და საერთაშორისო სამოქალაქო საზოგადოების წევრები, მუნიციპალური მთავრობისა და გეგმარებითი სტრუქტურების წარმომადგენლები.

### *კონფერენცია "საქართველო და შორეული აღმოსავლეთის სამყარო: ისტორია, თანამედროვეობა და ახალი პერსპექტივები“*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობის“ მიმართულება ატარებს V სამეცნიერო კონფერენციას – „საქართველო და შორეული აღმოსავლეთის სამყარო: ისტორია, თანამედროვეობა და ახალი პერსპექტივები“.

კონფერენციის მოხსენებების თემატიკა მოიცავს: ისტორია, პოლიტიკა, განათლება, რელიგია, ლიტერატურა, ფილოსოფია, ხელოვნება, საერთაშორისო ურთიერთობები, ეკონომიკა, სოციალური და ქალთა საკითხები და ა.შ. გახსნას დაესწრებიან საქართველოში ჩინეთისა და იაპონიის საელჩოების წარმომადგენლები.

### *„თანამედროვე შრომის სამართლის მიმოხილვის’’ დაფუძნების ღონისძიება*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ა(ა)იპ – თანამედროვე შრომის სამართლის ცენტრის პერიოდული გამოცემის, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალის – „თანამედროვე შრომის სამართლის მიმოხილვის’’ დაფუძნების ღონისძიება გაიმართა.

### *რექტორთა მუდმივმოქმედი კონფერენცია თსუ-ში*



რექტორთა მუდმივმოქმედი კონფერენციის მეორე სხდომა გაიმართა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელსაც კონფერენციის როგორც წევრი, ასევე არაწევრი კერძო უნივერსიტეტების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ღონისძიებაში თსუ რექტორი, კონფერენციის თავმჯდომარე გიორგი შარვაშიძე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ნუნუ მიცკევიჩი, თავდაცვის მინისტრის მოადგილე რატი ბრეგაძე, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორი

ზვიად გაბისონია, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსი დიმიტრი ბერაძე, განათლების საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელი ნინო ჭელიძე, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისა და საქართველოს უმაღლესი საგანამათლებლო დაწესებულებების რექტორები მონაწილეობდნენ.



### *მექსიკის ელჩის ვიზიტი თსუ-ში*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მექსიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში, რეზიდენციით ანკარაში, ხოსე ლუის მარტინესი ესტუმრა. დელეგაციას თსუ რექტორმა გიორგი შარვაშიძემ უმასპინძლა.

### *თსუ ხელოვნების ისტორიის და თეორიის ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებული ორი წიგნის პრეზენტაცია*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თსუ ხელოვნების ისტორიის და თეორიის ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებული ორი წიგნის პრეზენტაცია გაიმართა. ორივე წიგნი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით განხორციელებული პროექტის: „ანისი – ქართული კულტურული მემკვიდრეობა“ (გრანტი №HE15-22) ფარგლებში მომზადდა.



### *ვარლამ ჩერქეზიშვილისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია*

თსუ-ში XIX-XX საუკუნეების ცნობილი პოლიტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის ვარლამ ჩერქეზიშვილისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა. კონფერენცია ვარლამ ჩერქეზიშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობის წარმოსაჩენად შექმნილი სამუშაო ჯგუფის პროგრამის ფარგლებში ჩატარდა. ღონისძიებას თსუ რექტორი გიორგი შარვაშიძე, აკადემიური წრეების წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

### *ალექსანდრა ბრაკენის წიგნის „მოგზაური“ პრეზენტაცია*

თსუ ბიბლიოთეკაში გაიმართა ალექსანდრა ბრაკენის წიგნის „მოგზაური“ პრეზენტაცია. აღნიშნული წიგნი გამოიცა „პალიტრა L“-ის მიერ, პროექტ „ლიბერთინსის“ ფარგლებში. წიგნი წარადგინა მწერალმა, ელის დოჯსონმა და პროექტის მენეჯერმა, გიორგი კიკაბიძემ. ასევე, გაიმართა „ლიბერთინსის“ სერიის წიგნების გამოფენა-გაყიდვა სპეციალური ფასდაკლებით. ღონისძიების შემდეგ, გამომცემლობა „პალიტრა L“-მა, მზრუნველობა მოკლებულ ბავშვებს საჩუქრად გადასცა უახლესი გამოცემები.



### *ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შედეგების პრეზენტაცია*

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შედეგების პრეზენტაცია გაიმართა. კონფერენციას თსუ რექტორი გიორგი შარვაშიძე, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი გიორგი ღაღანიძე, პროფესორები და სტუდენტები ესწრებოდნენ. ღონისძიებაზე პრეზენტაციები წარადგინეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნეს-ადმინისტრირების მიმართულებების პროფესორებმა და ასოცირებულმა პროფესორებმა.



### *ელდარ ნადირაძის 70 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სესია*

ივანე ჯავახიშვილის სახლობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტრულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ორგანიზებით ელდარ ნადირაძის 70 წლის იუბილესადმი მიღძვნილი სესია გაიმართა.

### *რეგიონული კონფერენცია - „მარჯორი უორდროპი - 150“*

თსუ-ში გაიმართა თსუ ლექსიკოგრაფიის ცენტრისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ქართული ენის სამმართველოს რეგიონული კონფერენცია - „მარჯორი უორდროპი - 150“. კონფერენცია მიეძღვნა მარჯორი უორდროპის დაბადებიდან 150 წლისთავს.

საგანგებოდ ამ დღისთვის დიბეჭდა წიგნი - „მარჯორი უორდროპის ინგლისურ-ქართული ლექსიკონი“, რომლის პრეზენტაციაც კონფერენციაზე გაიმართა.



### *უნგრეთის სასტიპენდიო პროგრამა „Stipendium Hungaricum“*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უნგრეთის სასტიპენდიო პროგრამასთან დაკავშირებით არსებულ შესაძლებლობაზე ინფორმაციის მიწოდების მიზნით საქართველოში უნგრეთის საელჩოს კონსული, ანიკო ფარკაში, განათლების საერთაშორისო ცენტრის წარმომადგენელთან ერთად თსუ სტუდეტებს შეხვდენენ.

უნგრეთის სასტიპენდიო პროგრამის „Stipendium Hungaricum“ ადმინისტრირებას ახორციელებს განათლების საერთაშორისო ცენტრი 2020-2021 სასწავლო წლისთვის. პროგრამა ითვალიწინებს უნგრეთში საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე სწავლის დაფინანსებას.

### *საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „ბუნებრივი კატასტროფები საქართველოში*

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „ბუნებრივი კატასტროფები საქართველოში: მონიტორინგი, პრევენცია, შედეგების შერბილება“ გაიმართება. კონფერენცია საქართველოში რეგულარული მაგნიტურ-მეტეოროლოგიური და სეისმური დაკვირვებების ორგანიზების 175 და 120 წლისთავს მიეძღვნა. ღონისძიების ერთ-ერთი ორგანიზატორი თსუ მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი გახლდათ.

## „თსუ სტუდენტური კაპელას“ ქორმაისტერის მუსიკალური გზა

*1-ლი გვერდიდან*



ბავშვი ეზოში თამაშობს და შენ ამ დროს სოლფეჯიოზე მიდიხარ, მძიმედ გასაგებია. თუმცა იყვნენ ისეთი მასწავლებლები, რომლებმაც ეს მომენტი გადამალახინეს, იყვნენ ისეთებიც, ვის გამოც იქ მისვლა არ მინდოდა, მაგრამ, საბოლოოდ, შვიდწლედი წარმატებით დავამთავრე“, – იხსენებს ლაშა.

შვიდწლედის დასრულებამდე ცოტა ხნით ადრე ხალხური სიმღერით დაინტერესდა და ანსამბლ „მართვეს“ სტუდიაში დაიწყო სიმღერა. „მართვეს“ ანსამბლში რამდენიმე წლის განმავლობაში მღეროდა, თუმცა მუსიკის სიყვარული „ევგენი მიქელაძის სამუსიკო სასწავლებელში“ დაიბადა, სადაც დღემდე მოღვაწეობს.

„ევგენი მიქელაძის სამუსიკო სასწავლებელში“ საგუნდო-სადირიჟორო პროფესიას ვეუფლებოდი. რომეო გიორგაძე გუნდს ასწავლიდა, ლია ჭონიშვილი კი, დირიჟორობას. ამ ადამიანებმა შემაყვარეს საგუნდო მუსიკა. გუნდის ჟღერადობა ჩემთვის უცხო არ იყო, რადგან „მართვეში“ წლები ვმღეროდი, უბრალოდ ხალხური ჟღერადობა აკადემიურით შეიცვალა. ამ დროს უკვე ძალიან კარგად ვიცოდი ცხოვრებაში რა მინდოდა, სად უნდა მეპოვა ჩემი თავი.“

საკუთარი თავის აღმოსაჩენად ლაშამ სკოლის დასრულების შემდეგ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში საგუნდო-სადირიჟორო მიმართულებაზე ჩააბარა. ბაკალავრიატის დასრულების შემდეგ იმავე მიმართულებით მაგისტრატურაზე გააგრძელა სწავლა. სწავლის პარალელურად მუსიკალურ ცხოვრებაში აქტიურად იყო ჩართული. სწორედ ამ პერიოდში გაჩნდა „თსუ სტუდენტური კაპელას“ შექმნის იდეაც. გადაწყვეტილება თვითონ ლაშასთვისაც სწრაფი და მოულოდნელი იყო, თუმცა დრომ აჩვენა, რომ ხშირად, დაუგეგმავად მიღებულმა გადაწყვეტილებამ შეიძლება დიდი წარმატება მოგიტანოს, ცხადია თუ დიდ შრომასა და ძალისხმევას ჩადებ ამ საქმეში. ლაშას კი გუნდის წევრებთან ერთად ძალისხმევა ნამდვილად არ დაუშურებია, რომ „თსუ სტუდენტური კაპელა“ იმ საფეხურზე ყოფილიყო, სადაც დღეს არის. თუმცა, გუნდის ხელმძღვანელს მიაჩნია, რომ წინ ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი.

„როდესაც დირიჟორი ხარ, რა თქმა უნდა, გუნდის შექმნის იდეა ყოველთვის არის. მაგრამ ამ იდეის განხორციელება ძალიან მოულოდნელად მოხდა. ჩემი მასწავლებლისგან გავიგე, რომ კონკურსი იმართებოდა, მე კი მოსამზადებლად მხოლოდ ერთი თვე მქონდა. გამახსენდა, რომ თსუ-ში სამ გოგონას ვიცნობდი, კარგად მღეროდნენ, დავუკავშირდი, მათაც სურვილი გამოთქვეს, დამეხმარნენ. ერთ კვირაში 14 გოგო შეიკრიბა. ბევრი ვიმუშავეთ და ამ კონკურსზე ოქროს მედალი ავიღეთ. აქედან დაიწყო ჩვენი გუნდის განვითარება. დღეს კაპელაში 60 წევრია. 2 წლის წინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ევროპის საერთაშორისო კონკურსზე გრანპრის ავიღებდით, მაგრამ 2 წლის შემდეგ გრანპრი ავიღეთ. წინასწარ საუბარი არ მინდა, თუმცა „თსუ სტუდენტური კაპელას“ განვითარება გრძელდება.“

„თსუ სტუდენტურ კაპელასთან“ ერთად გუნდის ქორმაისტერიც აგრძელებს განვითარებას. რამდენიმე სამსახურში ერთდროულად, დაუღალავად მუშაობს. „ევგენი მიქელაძის სამუსიკო სასწავლებელში“ უმცროსკლასელთა გუნდს ასწავლის, მღერის საქართველოს სახელმწიფო კაპელაში და კონსერვატორიის საოპერო მუსიკის გუნდში. „თსუ სტუდენტურ კაპელას“ სამსახურს არ ეძახის. როგორც აღნიშნავს კაპელა მისთვის ყველაფერია და ბოლოს არის სამსახური. გადატვირთული სამუშაო გრაფიკის მიუხედავად გართობისთვისაც ახერხებს ცოტა დროის გამონახვას. მუსიკალური ცხოვრების გარდა თევზაობით და ფეხბურთით არის გატაცებული. რომ არა მუსიკა, დარწმუნებულია, რომ პროფესიონალი მეთევზე იქნებოდა.

„თევზაობა ძალიან მიყვარს. საქართველოს მეთევზეთა ფედერაციაშიც ვარ გაწევრიანებული და ხშირად ვთევზაობ, გარდა ამისა ფეხბურთს ვთამაშობ ხშირად. მაინტერესებს თეოლოგია. თუმცა, ჩემი თავი მუსიკის გარეშე მხოლოდ მეთევზედ წარმომიდგენია. მაგრამ მაინც არ მგონია, რომ წარმატებისთვის მიმეღწია.“

არც მუსიკალურ ცხოვრებაში თვლის ჯერ საკუთარ თავს წარმატებულად. მიუხედავად იმისა, რომ 27 წლის ასაკში უკვე ბევრისთვის აქვს მიღწეული, ფიქრობს, რომ დამწყებია და ძალიან ბევრი რამ აქვს სასწავლი. როდის იტყვის, რომ საკუთარ საქმეში უკვე შემდგარი და პროფესიონალია, ჯერ არ იცის. სამაგიეროდ დარწმუნებულია, რომ სწორი გზა აირჩია და საკუთარი გადაწყვეტილება არასდროს არცერთი წამით არ უნანია. არც მაშინ, როდესაც მუსიკალურ სფეროში დაბალი ანაზღაურების გამო ერთდროულად რამდენიმე სამსახურში უწევს მუშაობა.

„დარწმუნებული ვარ სწორედ იქ ვარ, სადაც უნდა ვიყო. ჩემთვის წარმატების საიდუმლო ჩემი საქმის სიყვარულში და იმ ადამიანებშია, ვინც ცხოვრებაში შემხვდნენ. ეს წარმატება კი ასაკთან ერთად მოდის თუ ეძებ და აუცილებლად უნდა ეძებო,“ - ასე ასრულებს საუბარს „თსუ სტუდენტური კაპელას“ ქორმაისტერი ლაშა მიროტაძე.

## თსუ პროფესორი პრემია „საბა“-ს გამარჯვებულია

*1-ლი გვერდიდან*

ლი მელოდა: როდესაც სამადლობელო სიტყვაში ვახსენე ძვირფასი ადამიანი, ბატონი რისმაგ გორდეზიანი, დარბაზი გულწრფელი აპლოდისმენტებით ახმიანდა. ვფიქრობ, ეს იყო არა მხოლოდ ბატონი რისმაგის მიმართ გამოჩენილი პატივისცემა, არამედ მის მიერ აღორძინებული კლასიკური ფილოლოგიის ქართული სკოლის აღიარებაც,“- ამბობს ნანა ტონია.

თსუ პროფესორის მთარგმნელობითი საქმიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ევრიპიდესთან. პირველად თარგმნა მისი „ორესტესი“ და შემდეგ „მედეა“.

„ჩვენმა ინსტიტუტმა ბატონი რისმაგის თაოსნობით „მედეას“ გრანდიოზული საერთაშორისო კონფერენცია მიუძღვნა. ამის აღსანიშნავად ევრიპიდეს „მედეას“ ახალი თარგმანი შევასრულე, მიუხედავად იმისა, რომ ამ ტრაგედიის რამდენიმე დიდებული ქართული თარგმანი უკვე არსებობდა,“ — აღნიშნავს ნანა ტონია. „მედეას შემდეგ“ იყო „ჰიპოლიტოსი“, „ფინიკიელი ქალები“ და „ჰეკაბე“. გამოსაცემად უკვე მზად აქვს: „ბაკქი ქალები“ და „ტროელი ქალები“.

როგორც ნანა ტონია გვეუბნება, „ჰეკაბე“, რომელმაც მას ლიტერატურული პრემია მოუტანა. თანამედროვე სამყაროში პოპულარობით ვერ შეედრება ევრიპიდეს „მედეას“, მაგრამ თავისი დრამატიზმით, ტრაგიზმით, გმირის თავგანწირული ბრძოლით ღირსებისა და სამართლიანობისათვის, ლიტერატურული ესთეტიზმით ის რჩეულთა შორის რჩეულია. წიგნის მთავარი გმირი ტროას დედოფალი, კეთილშობილი და ღირსეული, ჰეკაბეა.

„მაგრამ მოხდა ისე, რომ მას წარმოუდგენელი უბედურებანი დაატყდა თავს: მისი ვაჟიშვილები (მათ შორის სახელოვანი ჰექტორი), ბრძოლის ველზე დაეცნენ; მეუღლე, მეფე პრიამოსი, მის თვალწინ განგმირეს; ქალიშვილი, პოლიქსენე, აქილევსის საფლავს დააკლეს აქაველებმა; შვილიშვილი, პატარა ასტიანაქსი, იმავე აქაველებმა მოკლეს, კოშკიდან გადმოისროლეს; მეგობართან გადამალული ჯერ კიდევ ჩვილი შვილი, პოლიდოროსი, ტროას აღორძინების ერთად-ერთი იმედი, სანაპიროზე გამორიყული იპოვეს მკვდარი; სამშობლო-ტროა მიწის პირისგან აღიგავა... ამაზე მეტი რა უბედურება შეიძლება დაითმინოს მოკვდავმა ქალმა? და აი, ეს კეთილშობილებით სავსე მხცოვანი და დიდებული დედოფალი, შეძლებს იმას, რომ შური იძიოს ბოროტმოქმედზე. საშინელია მისი განცდა, განცდა, რომელსაც ევრიპიდე „შურისძიების ზეიმს“ არქმევს. მაგრამ იცოდა ათენელმა მაყურებელმა, რომ ეს ზეიმი ჰეკაბეს ძალლად გარდასახავდა.

რას შეახსენებდა ევრიპიდე ამ ტრაგედიით თავის თანამედროვეთ? და ახლა უკვე, რას შეგვახსენებს ჩვენ, ოცდახუთი საუკუნის შემდეგაც რომ ვკითხულობთ მის ქმნილებებს? ევრიპიდე ამბობს, რომ კეთილშობილებიდან ბოროტებამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია გადასადგმელი. ადამიანს შეუძლია გადადგას ეს ნაბიჯი, თუ მისთვის უკვე „ყოველი დილა თენდება უბედურებით“, თუ მისთვის უკვე ცა ჩამოიქცა, სამყარო შეირყა და დაირღვა დროთა კავშირი. მაგრამ მას „შურისძიების ეს ზეიმი“ არ მოუტანს ბედნიერებას, რადგან „ფუჭია ყველაფერი, ფიქრით თამაში...“ — ამბობს ნანა ტონია.

გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 2 22 23 91; ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებგვერდი: www.tsu.edu.ge